

9. აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება აფხაზეთის რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების უშიშროების სამსახურის შექმნის და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირების, აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს შენობების და სხვა ობიექტების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას აფხაზეთის რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების უშიშროების სამსახური.

2. დამტკიცდეს აფხაზეთის რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების უშიშროების სამსახურის დებულება (თან ერთვის).

აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. არძინა

ქალ. სოხუმი, 17 მარტი 1992 წელი.

(შემდგენლის პირადი არქივიდან. საკუთარი თარგმანი)